ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №42

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ჯ. საჯაია, ლ. ყავლაშვილი, თ. დვალი, ნ. მაისურაძე, შ. ქუთათელაძე, გ. გურული, ალ. კორძახია, გ. ჯავახიშვილი, თ. ესიავა, დ. კოდუა, ალ. ახვლედიანი, დ. სამხარაძე, შ. ჩიკვაიძე, ა. გვარამია, ილ. ლომსაძე, ზ. ყანჩაველი, რ. ებრალიძე, დ. გოქაძე, ზ. ქანთარია, მ. მუმლაძე, ბ. თხელიძე, ლ. ოქროპირიძე, გ. კავთეიშვილი, ვ. მჭედლიძე, ნ. ხოსრუაშვილი, ო. დუმბაძე, თ. თათეშვილი, ნ. დვალიშვილი, კ. აბულაძე, კ. არაბიძე, ე. აბაკელია, გ. ხაჭაპურიძე, მ. გურჩიანი, მ. ადეიშვილი, ს. ალავიძე, ა. ბირბიჩაძე, რ. ებრალიძე, დ. გოგუაძე, თ. ლომთაძე, რ. კაციტაძე, ზ. გიორგაძე, ზ. კასრაძე, ირ. ბობოხიძე, ი. სამხარაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

6. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, კრონშტანტის ქ. №72, ცაგარელის ქ. №70-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეულები – გ. გურული, ალ. კორძახია).

7. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ანაგის ქ. №41-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეული – გ. ჯავახიშვილი).

8. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №23, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №23-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.14.005.007, 01.14.14.012.057, 01.14.14.005.186) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – თ. ესიავა, დ. კოდუა).

9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ზემო პლატოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.005.064) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ალ. ახვლედიანი, დ. სამხარაძე).

10. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლება, ქუჩა IV, №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – შ. ჩიკვაიძე).

11. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლება, III მიკრორაიონი, №37 კორპუსის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.08.005.088) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ა. გვარამია).

12. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ოძისის ქ. №6/8-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №23, ილ. ჭავჭავაძის გამზირი №23-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.14.005.007, 01.14.14.012.057, 01.14.14.005.186) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

9. ალ. ახვლედიანის ინფორმაცია ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ზემო პლატოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.005.064) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დ. ჭუმბურიძე. **AR 1169693**
დადგენილი პარამეტრები –კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=5,0.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. ყველა ბინა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარკინგით.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ზემო პლატოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.005.064) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.


2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=5,0.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.


განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე  კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი  ლევან გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 2479

" 5 ნოემბერი 2013 წ.

ქ.თბილისში, ზემო პლატოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.005.064) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 24 ოქტომბერის სხდომის №42 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, ზემო პლატოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.005.064), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,0.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE06LB0125152101627729.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი შუღლავა